საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

12/11/2024

MES 8 24 0001454481

გადაწყვეტილება

შპს ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 30 აპრილს წარმოდგენილ იქნა შპს ევროპის უნივერსიტეტის №15777 (ცენტრში რეგისტრაციის - №484534, 30.04.2024 და №490999, 01.05.2024) წერილი, რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე.
2.2. ცენტრის 2024 წლის 16 მაისის № 540019 ბრძანების საფუძველზე, შპს ევროპის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2024 წლის 16 ივლისის № 866750 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით განახორციელა 2024 წლის 29 და 30 ივლისს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**x**			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**x**			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**x**			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**x**			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**x**			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4 ზეპირი მოსმენა გაიმართა **2024 წლის 29 ოქტომბერს.** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული სტანდარტების საერთო შეფასება, თუმცა განახორციელა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ **რეკომენდაცია:** „რეკომენდებულია,

პროგრამებში ეფექტურად გამოიკვეთოს, შემუშავდეს და აქტიურად შეეწყოს ხელი მათ სოციალურ გავლენას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების და უნივერსიტეტის მისიის განაცხადის შესაბამისად“ გადაიტანა რჩევებში, შედეგად სტანდარტის 1.1 კომპონენტი, ნაცვლად მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან, განისაზღვრა, როგორც, შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან. ასევე საბჭომ აკრედიტაციის სტანდარტის შეფასების 1.4 კომპონენტში დაამატა შემდეგი რეკომენდაცია: **რეკომენდებულია** საგანმანათლებლო პროგრამით (რომელიმე სასწავლო კურსის ფარგლებში) გათვალისწინებული იქნას ალბათობის თეორიის საკითხების მეტი სიღრმით შესწავლა. ზემოაღნიშნულ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია სტანდარტების საერთო შეფასებაზე.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ:

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2031 წლის 29 ოქტომბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 12 ნოემბრის №1452148 ოქმის № 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:

რეკომენდებულია საგანამანათლებლო პროგრამით (რომელიმე სასწავლო კურსის ფარგლებში) გათვალისწინებული იქნას ალბათობის თეორიის საკითხების მეტი სიღრმით შესწავლა.

რჩევები:

- სასურველია პროგრამებში ეფექტურად გამოიკვეთოს, შემუშავდეს და აქტიურად შეეწყოს ხელი მათ სოციალურ გავლენას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების და უნივერსიტეტის მისიის განაცხადის შესაბამისად;

- სასურველია, სწავლის სფეროს თავისებურებების გათვალისწინებით, პირდაპირი მეთოდის რიცხვითი შეფასებისას 10% - იანი წესის გამოყენებისას უარყოფითი და დადებითი შეფასებების დროს, დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ სტუდენტის მოსწრება ყოველთვის არ ექვემდებარება ნორმალურ განაწილებას;

- სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს დამატებითი მხარდაჭერა, იმისათვის, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი კარგად იყოს გათვითცნობიერებული სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებში;

- სასურველია, სხვადასხვა მათემატიკური ცოდნის მქონე სტუდენტებისთვის, ჩარიცხვის შემდგომ დაწესებულებამ განახორციელოს მათი მათემატიკური ცოდნის დონის განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში, მათემატიკური სირთულეების დაძლევის მიზნით ტრენინგების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიდგომა დაეხმარება ლექტორებს აირიდონ ლექციების ზედმეტად გამარტივება და უზრუნველყონ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა;

- სასურველია, უნივერსიტეტმა პერსონალისთვის შეიმუშაოს პრაქტიკული სახელმძღვანელო პლაგიატის შესაძლო დაშვებულ ზღვართან დაკავშირებით, მაგალითად, გარკვეული რაოდენობის თანმიმდევრული სიტყვების ხელახლა გამოყენების შესაძლებლობა ან მსგავსების შეფასებისას გარკვეულ პროცენტზე ნაკლები ქულის განსაზღვრა;

- სასურველია, ბიბლიოთეკის გამდიდრება რეგიონული და საერთაშორისო ელექტრონული ჟურნალებით ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში;

- სასურველია, დაწესებულებამ ხელი შეუწყოს სამეწარმეო უნარების სწავლებას ლაბორატორიის მოწყობით და სიმულაციური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით;

- სასურველია, დაწესებულებამ მკაფიოდ განსაზღვროს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით ბიუჯეტის გამოყოფის მიზნები და ფარგლები, პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ეფექტური სტრატეგიის შემუშავების მიზნით;

- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს სრულყოფილი სარეკლამო სტრატეგია, იმისათვის, რომ განათავსოს ახალი პროგრამები მიზნობრივ ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე;

- სასურველია, დაწესებულებამ ყურადღებით შეისწავლოს დაგეგმილი ბიუჯეტი და გაითვალისწინოს, რომ ხანმოკლე პერიოდში შესაძლებელია ვერ იყოს მიღწეული სტუდენტების მიზნობრივი რაოდენობა, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტების თვალსაზრისით;

- სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით მოწვეული პერსონალის ჩართულობა სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების პროცესებში;

- სასურველია, დაწესებულებამ შეინარჩუნოს აქტიური და ხშირი თანამშრომლობა ინდუსტრიის წარმომადგენლებთან, თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის და ხელოვნური ინტელექტის დანერგვის მიზნით ბიზნესის ადმინისტრირების ყველა სფეროში.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 29 ოქტომბერს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური